# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-1330

09/09/2021

ქ. თბილისი

**საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ქალაქ წყალტუბოს გენერალური გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 25-ე მუხლის საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. გაიცეს საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ქალაქ წყალტუბოს გენერალური გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნა;
2. საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ სგშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და ქ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა და სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფცია განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდსა და ქ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი